ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ15. 1525238001**

თარიღი:**26/08/2025**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის არასამუშაო დღეს ჩატარების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ჩატარების თარიღად, რეგლამენტის შესაბამისად, 2025 წლის 22 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს მიერ განისაზღვრა 2025 წლის 29 აგვისტო.

2025 წლის 25 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს მთავრობის №381 დადგენილების შესაბამისად, 2025 წლის 29 აგვისტო გამოცხადდა უქმე დღედ, აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად - „ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ/მის სისტემაში შემავალ სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას“.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. ვინაიდან 29 აგვისტოს შემდეგი სამოშაო დღე არის 2025 წლის 01 სექტემბერი, კანონმდებლობით კი სავალდებულოა თვეში ერთი სხდომის ჩატარება, პროცედურული თვალსაზრისით არსებობს 29 აგვისტოს სხდომის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „უქმე დღის განსაზღვრის შესახებ” 2025 წლის 25 აგვისტოს №381 საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-2 მუხლისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წლის 29 აგვისტოს უქმე დღედ გამოცხადების მიუხედავად, ჩატარებულ იქნეს საკრებულოს მორიგი (დაგეგმილი/მოწვეული) სხდომა 2025 წლის 29 აგვისტოს არასამუშაო პერიოდში (არასამუშაო საათებში).

2. საკრებულოს აპარატმა განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციულ - ტექნიკური უზრუნველყოფა.

3. არასამუშაო დღეს საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების შესახებ ეცნობოს საკრებულოს წევრებს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი თავდგირიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი